დანართი №1

საუნივერსიტეტო უწყვეტი განათლების კურსის
პროგრამა

პროგრამის სახელწოდება -

ქართულად: ბიზნესის ადმინისტრირება;
ინგლისურად: Business Administration.

პროგრამის მოცულობა - 36 საათი, კვირაში 3-ჯერ, 2-2 საათი (საათების დეტალური განაწილება თემების მიხედვით იხ. თანდართულ ანოტაციაში);

სწავლების ენა - ქათული;

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი - ამჟამად მიმდინარე რევოლუციური ცვლილებებისა და ბიზნესის არნახული დინამიურობის პირობებში ადამიანმა ისეთი ბიზნეს-განათლება მიიღოს, რომელიც პრაქტიკულად გამოადგება ცხოვრებაში.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა - არ აქვს.

სწავლის შედეგი - ეს კურსი დაეხმარება მსმენელებს არა მხოლოდ ბიზნესის ადმინისტრირების ეფექტიან ათვისებაში, საკუთარი ცოდნისა და უნარ-ჩვევების განმტკიცებასა და თვითშემოწმებაში, არამედ გადაწყვეტილების მიღების, გუნდური მუშაობის და პიროვნებათშორისი კომუნიკაციის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება-განვითარებაშიც.

ცოდნა და გაცნობიერება:

კურსის დასრულების შემდეგ სტუდენტებს ეცოდინებათ:

- ბიზნესის საფუძვლების ძირითადი ცნებები: ბიზნესი და მეწარმეობა, ბიზნესმენი და მეწარმე, მენეჯერი და მენეჯმენტი, მოთხოვნა და მიწოდება, ფასი და სხვ.;
- ბიზნესის გარემო და მისი გაუმჯობესების გზები;
- ბიზნესის ეთიკა და სოციალური პასუხისმგებლობა;
- ბიზნესის დაგეგმვა;
- ბიზნესის ორგანიზების ფორმები.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება/პრაქტიკული უნარები:

- თეორიული ცოდნის როგორც ზეპირი ასევე წერილობითი ფორმით გადმოცემის უნარი;
- ბიზნესის სფეროში მონაწილე სუბიექტების ტექნიკური, ორგანიზაციული და ეკონომიკური ხასიათის პრობლემების კვალიფიციური ანალიზისა და გადაწყვეტილების მიღების უნარი;
- ბიზნესის დაწყებისათვის სადამფუძნებლო დოკუმენტების მომზადებისა და მარტივი ბიზნეს-გეგმის შედგენის უნარი.

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:

კვირაში - 1 საათი ლექცია, 1 საათი სემინარი.

ლექციას ექნება ინტერაქტიული ხასიათი. ყურადღება გამახვილდება განსახილველი თემის ძირითად დებულებებზე და მათ კრიტიკულ ანალიზზე. საკითხების ახსნისას აქცენტი გაკეთდება მსოფლიო გამოცდილებაზე და ეროვნულ თავისებურებებზე. სემინარზე კი დისკუსია/დებატები–ინტერაქტიური სწავლების ერთ–ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია.

ცოდნის შეფასების სისტემა:

საბოლოო (წერითი) გამოცდის შეფასება ხდება 4 (ოთხი) საკითხით. თითოეულ საკითხს მინიჭებული აქვს 10 ქულა, შესაბამისად 4 საკითხს – **40 ქულა.**
საბოლოო გამოცდის შეფასების კრიტერიუმები:

1. 9-10 ქულა: პასუხი სრულია; საკითხი ზუსტად და ამომწურავად არის გადმოცემული; ტერმინოლოგია დაცულია. სტუდენტი ზედმიწევნით კარგად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ განვლილ მასალას, ღრმად და საფუძვლიანად აქვს ათვისებული როგორც ძირითადი ისე დამხმარე ლიტერატურა.
2. 7-8 ქულა: პასუხი სრულია, მაგარამ შეკვეცილი; ტერმინოლოგიურად გამართულია; საკითხი ამომწურავად არის გადმოცემული; არსებითი შეცდომა არ არის; სტუდენტი კარგად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ განვლილ მასალას; ათვისებული აქვს ძირითადი ლიტერატურა.
3. 5-6 ქულა: პასუხი არასრულია; საკითხი დამაკმაყოფილებლად არის გადმოცემული; ტერმინოლოგია ნაკლოვანია; სტუდენტი ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ მასალას, მაგარამ აღნიშნება მცირეოდენი შეცდომები.
4. 3-4 ქულა: პასუხი არასრულია; ტერმინოლოგია მცდარია; საკითხის შესაბამისი მასალა გადმოცემულია ნაწილობრივ; სტუდენტს არასაკმარისად აქვს ათვისებული ძირითადი ლიტერატურა; აღინიშნება რამდენიმე არსებითი შეცდომა.
5. 1-2 ქულა: პასუხი ნაკლოვანია, ტერმინოლოგია არ არის გამოყენებული, ან არ არის შესაბამისი; პასუხი არსებითად მცდარია. გადმოცემულია საკითხის შესაბამისი მასალის მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტები.
6. 0 ქულა: პასუხი საკითხის შესაბამისი არ არის ან საერთოდ არაა მოცემული.

პროგრამის ხელმძღვანელი:

ეკონ. დოქტორი, პროფესორი იოსებ მასურაშვილი.

კურსის სამიზნე ჯგუფი:

კურსი გათვლილია კონკურენტულ საბაზრო გარემოში წარმატებაზე ორიენტირებულ, ინიციატივიან, მიზანსწრაფულ, ენერგიულ, რისკიან, თანამედროვე ცოდნისა და უკეთესი ცხოვრების მაძიებელ ნებისმიერ ადამიანზე.

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსები:
ეკონ. დოქტორი, პროფესორი იოსებ მასურაშვილი (CV იხ. დანართის სახით).
პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსები:

ლექციის ჩასატარებლად ტექნიკურად აღჭურვილი თსუ-ის აუდიტორია.

კურსის ღირებულება - 250 ლარი.
სერტიფიკატის გაცემის წესი და პროცედურა - იხ. თსუ აკადემიური საბჭოს დადგენილება №10/2013, 4 თებერვალი, 2013.